

ბავშვთა მიმართ ძალადობის კლინიკური პრაქტიკისა და
დამოკიდებულების კვლევა სტომატოლოგიურ კაბინეტებში

ზურაბ ალხანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი (ჯანდაცვის მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაგდა ასათიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ზურაბ ალხანიშვილი

20.06.2016

აბსტრაქტი

ბავშვთა მიმართ ძალადობის მხრივ საქართველოში არსებულ მძიმე მდგომარეობას ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა. კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს. 2010 წლის 31 მაისს დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომლის მიხედვითაც ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სუბიექტთა შორის არიან სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც და, მათ შორის, სტომატოლოგები. მსოფლიოს მასშტაბით სტომატოლოგები ყოველდღიურ პრაქტიკაში ბავშვთა მიმართ ძალადობის უამრავ ნიშანს ხედავენ, თუმცა ყოველთვის ვერ ხდება ძალადობის ამოცნობა, შეფასება, იდენტიფიცირება და მიმართვიანობა. მოცემული კვლევის მიზანია ბავშვთა მიმართ ძალადობის კლინიკური პრაქტიკისა და დამოკიდებულების კვლევა სტომატოლოგიურ პედიატრიულ კაბინეტებში. კვლევის ინსტრუმენტია თვითადმინისტრირებადი, ნახევრადსტუქტურირებული კითხვარი. გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი თვისებრივი კვლევის ელემენტებით. გამოიკითხა 146 პედიატრი სტომატოლოგი. კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ რესპონდენტთა 66,2 %-ს ერთხელ მაინც უნახავს ან სმენია, კოლეგა სტომატოლოგი მომსახურების გაწევის დროს ბავშვს ხმამაღალი ტონით რომ მიმართავდა, ხოლო 57,2 %-ს ერთხელ მაინც უნახავს ან სმენია, კოლეგა სტომატოლოგი პაციენტ ბავშვს როგორ უყვიროდა. კვლევის მონაწილეთა 7 %-ს მკურნალობის პროცესში ბავშვის სხეულზე დალურჯება ან სხვა სახის ძალადობის სავარაუდო ნიშნები ერთხელ მაინც შეუნიშნავს. 55,2 % კი აღნიშნავს, რომ ერთხელ მაინც ჰქონია შემთხვევა, როცა მკურნალობის პერიოდში, სტომატოლოგიურ კაბინეტში, მშობელს ბავშვისთვის დაერთყას, წამოერთყას,

ეყვირა, დაემცირებინა ან/და ეჩხუბა, ხოლო სტომატოლოგთა 28,3 % აღნიშნავს, რომ სულ მცირე ერთხელ მაინც უფიქრია, რომ მისი პაციენტი (ბავშვი) ძალადობის მსხვერპლი იყო. რესპონდენტთა 13 %-ისთვის თავად ბავშვს (პაციენტს) გაუნდია ისეთი რამ, საიდანაც გაირკვა, რომ ბავშვზე რაიმე ტიპის ძალადობა ხორციელდებოდა. ამის მიუხედავად, არც ერთ რესპონდენტს რეაგირების არც ერთი ფორმისთვის არასდროს მიუმართავს. კვლევის შედეგებით ძალადობის აღქმის, ამოცნობის და რეაგირების პრობლემები გამოივითა, რომელიც მულტიდისციპლინურ მიდგომას და ემედებებს საჭიროებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტომატოლოგია, ბავშვთა მიმართ ძალადობა, სტომატოლოგიური მომსახურება

Abstract

The child abuse in Georgia is a big problem, which is confirmed by the UNICEF research conducted in 2013. According to it, almost half of the adults in Georgia thinks that the child abuse is acceptable. On May 31, 2010 the Joint Order #152/N - #496 - #45/N – “Approving Referral Procedures for Child Protection” of Ministry of Health, Labour and Social Affairs of Georgia, Ministry of Internal Affairs of Georgia and Ministry of Science and Education of Georgia was issued, according to which medical professionals and dentists among them are obliged to identify and refer a victim of abuse to appropriate services based on the agreed referral procedures. Dentist worldwide are seeing many signs of child abuse every day, though it is not possible to always identify, evaluate and refer such cases. The aim of our research is to reveal the attitude of dentists in their cabinets towards the children violence. The

research tool is self-administered, semi structured questionnaire. Qualitative and quantitative research methods were utilized. One hundred and forty six (146) dentists were interviewed with self-administrated questionnaire and we discovered that 66.2 % of respondents have heard or seen at least once when during the treatment their colleagues dentists address the little patients with loud tone, and 57.2 % state that they have seen or heard how doctors shout at the children. 7% of participants of our study have noticed the signs of child abuse during their treatment. 55.2 % say they attended such an incident when the parent shouted, hurt, humiliated or bumped the child. 28.3 % of dentists say that they have at least once thought that their patient (child) was the victim of violence. 13% claim that the children have revealed themselves that they are victims of some coercions. Besides all this unfortunately none of the respondents have ever reacted to any kind of child abuse. The research results outline the problems of identifying and reporting of child abuse, which need the multidisciplinary approach and actions.

Key Words: Dentistry, child abuse, violence

მადლობა

მადლობას ვუხდით საკვლევი თემის ხელმძღვანელს ქ-ნ მაგდა ასათიანს დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.